დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 10

ქ. დმანისი 10 აგვისტო 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4 .აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მიხეილ დაუთაშვილი
10. შალვა ღამბარაშვილი
11. .თეიმურაზ აფრასიძე
12. შოთა აკობაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. გამლეტ ისმაილოვი
16. ემილ იბრაგიმოვი
17. ნატიგ ოვჩიევი
18. ლეილა მიქიანი
19 მერაბი ფოლადაშვილი
20. გუსეინ ისმაილოვი
21. კახა ოქრიაშვილი
22 კახა დევნოზაშვილი
23 გუმბათ იუსუბოვი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 15

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 25 ივლისის N04-03/68520 წერილის თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული 2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საფუძველზე,გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტისათვის 2022 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 11200,0 ათასი ლარის ფარგლებში,ანუ ზრდამ შეადგინა 759,5 ათასი ლარი,მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 9700,0 ათას ლარს,ხოლო ქონების გადასახადისგან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1500,0 ათას ლარს,ანუ ზრდამ შეადგინა 50,0 ათასი ლარი.აღნიშნული ზრდადი შემოსავლები მიმართული იქნა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების,სოციალური პროგრამების და ღონისძიებების დასაფინანსებლად.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 05 აგვისტოს N 1398 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტ-ებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების განხორციელებისათვის დანართი N48-ში მითითებული სამუშაოებისათვის დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4399454 ლარი,ნაცვლად 2199454 ლარის,ანუ ზრდამ შეადგინა 2200000ლარი,რომელიც მიმართული იქნა შემდეგი პროექტების განხორციელებისათვის:

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020102 „გზების მშენებლობა რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2478,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 3004,5 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 526,6 ათასი ლარი, ხოლო საკუთარ შემოსავლებში გათვალისწინებული ზრდადი თანხების შედეგად თანადაფინანსების სახით აღნიშნულ კოდში მიმართული იქნა 174,3 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1021,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1195,8 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020202 „სასმელი წყლის მშენებლობა რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 314,4 ათასი ლარი ნაცვლად განისაზღვრა

1076,1 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 761,7 ათასი ლარი ხოლო საკუთარ შემოსავლებში გათვალისწინებული ზრდადი თანხების შედეგად თანადაფინანსების სახით აღნიშნულ კოდში მიმართული იქნა 118,0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 948,6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1066,6 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020501 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი განისაზღვრა 422,5 ათასი ლარის ოდენობით,ხოლო საკუთარ შემოსავლებში გათვალისწინებული ზრდადი თანხების შედეგად თანადაფინანსების სახით აღნიშნულ კოდში მიმართული იქნა 132,0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 3727,6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 3859.6 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 020401 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1041,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1530,2 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 489,2 ათასი ლარი, ხოლო საკუთარ შემოსავლებში გათვალისწინებული ზრდადი თანხების შედეგად თანადაფინანსების სახით აღნიშნულ კოდში მიმართული იქნა 25,7 ათასი ლარის ოდენობით და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1767,9 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1793,6 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებში ორგანიზაციული კოდი 060201 „ავადმყოფთა სოციალური დაცვის“ სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 250,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 350,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 100,0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარ შემოსავლებში ორგანიზაციული კოდი 060203 „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო,სტაციონალური,ამბოლატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამის“ სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 300,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 380,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 80,0 ათასი ლარი.

მე -19 მუხლით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებში ორგანიზაციული კოდი 010102 „მუნიციპალიტეტის მერიის“ საქონელი და მომსახურების მუხლი 735,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 815,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 79,5 ათასი ლარი,ხოლო ორგანიზაციული კოდი 010201 „სარეზერვო ფონდი“ -ის საქონელი და მომსახურების მუხლი 150,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 200,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ ზრდამ შეადგინა 50,0 ათასი ლარი.

მე-19 მუხლით დამტკიცებული ორგანიზაციული კოდი 050102 „სპორტული ღონისძიებების“ სხვა ხარჯების მუხლიდან 12,6 ათასი ლარი გადატანილი იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში,ხოლო ორგანიზაციულ კოდი 050204 „კულტურული ღონისძიებების“ სხვა ხარჯებიდან 42,0 ათასი ლარი გადატანილი იქნეს საქონელი და მომსახურების მუხლში და აღნიშნული მუხლი 50,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 92,0 ათასი ლარი,ხოლო სხვა ხარჯები 90,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 48,0 ათასი ლარის ოდენობით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებში ორგანიზაციული კოდი 020401 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შემცირდეს 250,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი 1793,6 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1543,6 ათასი ლარის ოდენობით და შემცირებული თანხა გადატანილი იქნეს იმავე კოდის სხვა ხარჯების მუხლში.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 29776,3 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ლეილა მიქიანმა.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 23

წინააღმდეგი:

2. **მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი, ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულების დანართი 1 –ში,სადაც ემატება შემდეგი ობიექტები:

დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა (დანართი N1)							
N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მოცულობა (ტონა)	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)
1	სასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. ირგანჩაი	82.03.41.283		1142		3426
2	სასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. მთისძირი	82.14.44.326		3237		9711
3	არასასოფლო-სამეურნეო	მუნიციპალიტეტი დამნისი, 9 აპრილის ჩიხი, №27-ის მ/ტ	82.01.46.680		188		17000
	დასახელება	**სახელმწიფო N**	**გამოშვების წელი**	**საიდენტიფიკაციო N**	**ფერი**	**მდგომარეობა**	**საბაზრო ღირებულება (ლარში)**
4	FORD RANGER. პიკაპი	DD-506-VD	2010	AM8508338	თეთრი	გამართული	15,700
5	KIA SPORTAGE. მაღალი გამავლობის	DD-502-VD	2008	AM8500235	შავი	გამართული	9,100

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს გასცეს აუქციონის ფორმით, თანდართული დანართით წარმოდგენილი, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

დანართი თან ერთვის:

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ სარგებლობის უზუფრუქტის ფორმით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (საზაფხულო საძოვარი კონტური №18 ,,ჩათახი'') სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 82.17.41.027 ,ფართობი 750000,00კვ.მ, 49 წლის ვადით, სამეურნეო დანიშნულებისათვის სარგებლობის უფლებით.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 23

წინაღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები **2022**წ. დანართი **1**

N	მისამართი	კატეგორია	საკადასტრო კოდი	მიწის დანიშნულება(საძოვარი)	მიწის დაზუსტ ფართობი/კვ.მ/	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საწყისი /ლა
1	ქ. დმანისი	სასოფლო-სამეურნეო	82.18.42.428	სახნავი	18026		570
2	დმანისი ს. ქვემო კარაბულახი	სასოფლო-სამეურნეო	82.07.44.228	საკარმიდამო	1104		1200
3	დმანისი ს. პანტიანი	სასოფლო-სამეურნეო	82.18.42.426		17359		564
4	ქ. დმანისი	სასოფლო-სამეურნეო	82.18.42.427	სათიბი	2588		564
5	ქალაქი დმანისი , ქუჩა 9 აპრილის , N 68ა	არასასოფლო-სამეურნეო	82.01.46.470		564	245	300